საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 14 დეკემბერი 2020 წ.

ბრძანება №01-08/57

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის ვადების ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბხსუ-ს წესდების მე-23 მუხლის მე-4 პუნქტის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 ივნისის №01-08/26 ბრძანების, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დისტანციური, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის, „ელექტრონული სწავლების მართვის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბხსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №01-08/51 ბრძანების, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის ბრძანების (MES 2 20 0001127365), „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის ვადების დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 ივლისის №04-01/36 დადგენილების, „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის ვადების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 ივლისის №04-01/36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 სექტემბრის №04-01/01 დადგენილების, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლების ვადების დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 ოქტომბრის №04-01/06 დადგენილებისა და „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის №698 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის №698 დადგენილებით 2021 წლის 3 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით უქმე დღეებად გამოცხადების შესაბამისად შევიდეს ცვლილება ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 ივლისის №04-01/36 დადგენილებით (ცვლილება №04-01/01,10.09.2020) დამტკიცებულ „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის ვადებში“ და ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 ოქტომბრის №04-01/06 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლების ვადებში“ და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**
2. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბხსუ-ს ვებგვერდზე.
3. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბხსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს, ფაკულტეტებს, ელექტრონული სწავლების მართვის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის წევრებს (ბხსუ-ს რექტორის №01-08/51, 27.10.2020 ბრძანების მიხედვით) და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. № 52).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **მაია ჭიჭილეიშვილი**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის
14 დეკემბრის №01-08/57 ბრძანების
დანართი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის ვადები

სასწავლო წლის დასაწყისი 2020 წლის 1 ოქტომბერი

პირველკურსელთა რეგისტრაცია

• ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ხელშეკრულებების გაფორმება - 01 - 08 სექტემბერი;

• აკადემიური რეგისტრაცია - 09 – 14 სექტემბერი.

ბაკალავრიატი

შემოდგომის სემესტრი

• ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 01 - 08 სექტემბერი;

• აკადემიური რეგისტრაცია - 09 – 14 სექტემბერი;

• საუდიტორიო მეცადინეობები - 01 ოქტომბერი - 31 დეკემბერი; 16 იანვარი – 30 იანვარი;

• საშობაო არდადეგები - 01 იანვარი - 15 იანვარი;

• საგამოცდო პერიოდი: ძირითადი გამოცდები - 01 თებერვალი - 13 თებერვალი; დამატებითი გამოცდები - 15 თებერვალი – 20 თებერვალი;

• არდადეგები - 21 – 28 თებერვალი.

გაზაფხულის სემესტრი

• ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 22-23 თებერვალი;

• აკადემიური რეგისტრაცია - 24-26 თებერვალი;

• საუდიტორიო მეცადინეობები - 01მარტი - 12 ივნისი;

• საგამოცდო პერიოდი: ძირითადი გამოცდები - 14 – 26 ივნისი;

დამატებითი გამოცდები - 28 ივნისი – 03 ივლისი.

მაგისტრატურა

შემოდგომის სემესტრი

• ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 28 - 30 სექტემბერი;

• აკადემიური რეგისტრაცია - 1 – 2 ოქტომბერი;

• სააუდიტორიო მეცადინეობები - 12 ოქტომბერი - 31დეკემბერი, 16 იანვარი - 06 თებერვალი;

• საშობაო არდადეგები - 01იანვარი - 15იანვარი;

• საგამოცდო პერიოდი: ძირითადი გამოცდები - 08 თებერვალი - 20 თებერვალი,

დამატებითი გამოცდები - 22 - 27 თებერვალი;

• არდადეგები - 28 თებერვალი - 08 მარტი.

გაზაფხულის სემესტრი

• ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 01 -03 მარტი;

• აკადემიური რეგისტრაცია - 04 -06 მარტი;

• სააუდიტორიო მეცადინეობები - 09 მარტი - 19 ივნისი;

• საგამოცდო პერიოდი: ძირითადი გამოცდები - 21ივნისი -03 ივლისი;

დამატებითი გამოცდები - 05 ივლისი -10 ივლისი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

შემოდგომის სემესტრი

• ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 28 - 30 სექტემბერი;

• აკადემიური რეგისტრაცია - 1 – 2 ოქტომბერი;

• სააუდიტორიო მეცადინეობები - 12 ოქტომბერი - 31დეკემბერი, 16 იანვარი - 06 თებერვალი;

• საშობაო არდადეგები - 01 იანვარი - 15 იანვარი;

• საგამოცდო პერიოდი: ძირითადი გამოცდები - 08 თებერვალი - 20 თებერვალი,

დამატებითიგამოცდები - 22 - 27 თებერვალი;

• არდადეგები - 28 თებერვალი - 08 მარტი.

გაზაფხულის სემესტრი

• ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 01 -03 მარტი;

• აკადემიური რეგისტრაცია - 04 -06 მარტი;

• სააუდიტორიო მეცადინეობები - 09 მარტი - 19 ივნისი;

• საგამოცდო პერიოდი: ძირითადი გამოცდები - 21 ივნისი -03 ივლისი;

  დამატებითი გამოცდები - 05 ივლისი -10 ივლისი.

კვალიფიკაციის მინიჭება

• კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება - 12 – 24 ივლისი.